- **ვინაიდან საპროექტო შენობაში სამანქანო შესასვლელი გათვალისწინებულია საკადასტროს - 01.10.18.011.130 საზღვრებში დაპროექტებული გზიდან საჭიროა მოხდეს აღნიშნული გზის პროექტის შეთანხმება და ნებართვის მოპოვება AR11151796 განაცხადით წარმოდგენილი პროექტის შეთანხმებამდე.**

  თიმთუს პასუხი:
  გთხოვთ, იხილოთ ფოტომასალა ატვირთული ველში - „ტერიტორიის კეთილმოწყობის გეგმის pdf ფაილი“, რომელზეც ასახულია საკადასტრო კოდით 01.10.18.011.130 რეგისტრირებულ ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა.
  აღნიშნულ მონაკვეთზე უკვე მოწყობილია გრუნტის გზა, რომელიც ფაქტობრივად ფუნქციონირებს და გამოიყენება მიმდებარე მიწის ნაკვეთებთან მისასვლელად.
  საპროექტო შენობის სამანქანო მისასვლელისთვის გათვალისწინებულია სწორედ არსებული გზის გამოყენება და არ იგეგმება ახალი გზის მოწყობა ან არსებული გზის რეკონსტრუქცია.
  ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა და შესაძლებლად მიიჩნიოთ საპროექტო შენობის შეთანხმება არსებული გზის გამოყენების საფუძველზე.

1. **შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. ->.გეგმების pdf ფაილი.:**

ა. წარმოსადგენია 0.00 ნიშნულის გეგმა.

თიმთუს პასუხი: გთხოვთ იხილოთ განახლებული გეგმების პდფ ფაილი, ატვირთული შესაბამის ველში.

ბ. გაითვალისწინეთ რომ 0.00 და 4.25 ნიშნულებზე ნახაზის ჩრდილო-დასავლეთით დაიცავით მიჯნის ზონა.

თიმთუს პასუხი: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შეტანილი ცვლილების საფუძველზე (ბრძანება N8158202, 11.11.2026) ნაკვეთის ჩრდილო-დასავლეთით დამატებით განისაზღვრა საზოგადოებრივი სივრცე, რის შედეგადაც აღნიშნულ მონაკვეთზე მიჯნის ზონა აღარ ფიქსირდება.

გ. თითოეული სართულის გეგმაზე საკადასტრო საზღვრები ასახეთ მკაფიოდ,თვალსაჩინოდ და მიჯნის ზონებში მიუთითეთ საკადსტროდან შენობამდე მანძილები.

თიმთუს პასუხი: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შეტანილი ცვლილების საფუძველზე (ბრძანება N8158202, 11.11.2026) ნაკვეთის ჩრდილო-დასავლეთით დამატებით განისაზღვრა საზოგადოებრივი სივრცე, რის შედეგადაც აღნიშნულ მონაკვეთზე მიჯნის ზონა აღარ ფიქსირდება.

დ. გენგეგმასა და სახურავის სართულზე დამატებულ ფართებზე მიუთითეთ ექსპლიკაცია და განმარტეთ მათ დანიშნულებაზე. ასევე ასახეთ მაქსიმალური სიმაღლის ანგარიშის გეგნეგმასა და ჭრილზე;

თიმთუს პასუხი: გთხოვთ იხილოთ განახლებული გეგემებისა და სიმაღლის განსაზღვრის პდფ ფაილი. დამატებით გაცნობებთ რომ სახურავზე ასასვლელი კიბე განკუთვნილია მხოლოდ ტექნიკური მომსახურების მიზნით, სახურავზე განთავსებულ საინჟინრო დანადგარებთან წვდომისთვის და არ არის გათვალისწინებული საერთო სარგებლობისთვის.

2. შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: „ე-ა“ფასადზე „ე“ ღერძთან დაიტანეთ ღიობის გამოჭრის მაქსიმალური სიმაღლის ანგარიში და მიუთითეთ გრუნტიდან ღიობის ბოლო წერტილამდე მანძილი.

   თიმთუს პასუხი: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შეტანილი ცვლილების საფუძველზე (ბრძანება N8158202, 11.11.2026) ნაკვეთის ჩრდილო-დასავლეთით დამატებით განისაზღვრა საზოგადოებრივი სივრცე, რის შედეგადაც აღნიშნულ მონაკვეთზე მიჯნის ზონა აღარ ფიქსირდება, შესაბამისად არ გვაქვს ღიობის გამოჭრის მაქსიმალური სიმაღლის ანგარიში.

3. **საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. :** გაითვალსიწინეთ დადგენილი ხარვეზები და შესაბამისად დააკორექტირეთ ვექტორული ფაილი.

   თიმთუს პასუხი: გთხოვთ იხილოთ განახლებული CAD ფაილი.

4. **საჭიროების შემთხვევაში, ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეების თანხმობა.:** ვინაიდან მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება წყალმომარაგების ძირითადი ქსელის შეზღუდვა, წარმოსადგენია შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" თან , შეთანხმებნული გადატანის პროექტი და დამოწმებული გენგეგმა, ხაზოვანი ნაგებობის არსებული და საპროექტო მდებარეობის დატანით.

   თიმთუს პასუხი: აღნიშნული საკითხი მუშავდება და ავტივრთავთ შემდეგი შუალედურის ფარგლებში.

5. **საკითხი შესასწავლად გადაგზავნილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში (წერილის ნომერი 60- 01263024023) საქმის წარმოების დასრულების შემდეგ პასუხს მიიღებთ შეტყობინების ველში.**

   თიმთუს პასუხი: მივიღეთ საგანგებოს თანხმობის დოკუმენტი.